ხაშურის მოამბე

№11 (293) 19 აპრილი, ორშაბათი, 2021 წელი

- კოვიდ - 19 -

დავით ჩიქოვანი: ვდგავართ ვირუსის გავრცელების მესამე ტალღის ზღვარზე

ყველა რიცხვი და მონაცემი, რაც კი ქვეყნის ეპიდვითარებას აფასებს, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, დღეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო კოვიდპანდემიის მესამე ტალღის საფრთხის წინაშე დგას. საფრთხეს ისიც აორმაგებს, რომ საქართველოში, ისევე როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, ნელ-ნელა დომინანტურ პოზიციებს იკავებს კოვიდ - 19-ის ბრიტანული შტამი, რაც იმას ნიშნავს, რომ ვირუსი თითქმის 70%-ით უფრო მარტივად გადამდებია, ანუ უფრო სწრაფად ვრცელდება და მეტ ადამიანს აინფიცირებს. დაავადებათა კონტროლის ცენტრის მონაცემებით, ბოლო ორ კვირაში გაზრდილია ქვეყანაში 100 ათას მოსახლეზე ინციდენტობის მაჩვენებელი.

თუკი ორი კვირის უკან ყოველ 100 ათას მოსახლეზე, ინფიცირების 9-10 ახალი შემთხვევა მოდიოდა, მოცემული დროისათვის ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაზრდილია. გაზრდილია ინფიცირების დადებითობის მაჩვენებელიც. ბოლო 10 დღის განმავლობაში, ზრდადია კოვიდსტატისტიკა ხაშურის მუნიციპალიტეტშიც. ხაშურში არსებულ ეპიდსიტუაციაზე და ვირუსის გავრცელების გაზრდილ მაჩვენებელზე გვესაუბრება ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი **დავით ჩიქოვანი:**

- ბოლო ორი კვირაა, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტში ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. გაზრდილია ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი, მომატებულია კოვიდ-19-ით ინფიცირებულთა რაოდენობა. მაგალითისათვის, გასულ დღეებში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაფიქსირდა 19 დადებითი შემთხვევა. მდგომარეობა არასახარბიელოა და ალბათ, ვდგავართ ვირუსის გავრცელების მესამე ტალღის ზღვარზე. ამ ეტაპისათვის,ვირუსის გავრცელებიდან დღემდე, ხაშურში ოფიციალურად დაფიქსირებული შემთხვევების სტატისტიკა ასეთია: 2364 შემთხვევიდან აქტიურია 110, გამოჯანმრთელდა 2211, სამწუხაროდ, გარდაცვლილია 43 ადამიანი. ყოველდღიურად თითქმის 200-ზე მეტი ტესტი კეთდება, და არ არის დღე, რომ 5-6-7-12 შემთხვევა არ დაფიქსირდეს. 2020 წლის ნოემბერ-დეკემბრის შემდეგ კი სარეკორდო იყო შემთხვევებოის რაოდენობა 12 აპრილს. 79 ადამიანი გადის მკურნალობას ბინაზე, სხვა კოვიდინფიცირებულები კი ჰოსპიტალიზირებულები არიან. აქტიური ვირუს დადასტურებულებიდან, საბედნიეროდ, არ გვაქვს ინფორმაცია შედარებით მძიმე შემთხვევების შესახებ. პაციენტები, ძირითადად, მოთავსებული არიან გორისა და ქარელის კლინიკებში.

- ბატონო დავით, როგორ მიმდინარეობს გეგმიური სავალდებულო ტესტირება? როგორია გამოვლენის მაჩვენებელი ლოკაციების მიხედვით?

- გეგმიურად იტესტებიან პედაგოგები, საბავშვო ბაღების აღმზრდელები, პოლიცია, სამაშველო სამსახურები, სამედიცინო პერსონალი. სამწუხაროდ, დაფიქსირდა შემთხვევები სკოლებში. დაიხურა ხაშურის მე-6, მე-2, მე-3, სურამის მე-4 და სატივის საჯარო სკოლები. ძირითადად, საჯარო სკოლები დაიხურა 2021 წლის 20 აპრილამდე. ასევე, გარკვეულ სკოლებში, დახურულია ცალკეული კლასები მოსწავლეთა შორის გამოვლენილი დადასტურებული შემთხვევების გამო. ასეთებია 1-ელ და მე-4 საჯარო სკოლებში და ერთი კლასია დახურული კერძო სკოლაშიც. სკოლების გახსნა დამოკიდებულია შემდგომში გამოვლენილ ინფიცირებულ შემთხვევების ზრდაზე პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა შორის თუ როგორი იქნება ვირუსის გავრცელება. იმის გამო, რომ ინფიცირებულთა შემთხვევები გაიზარდა, ხაშურის მე-2 და სურამის მე-4 საჯარო სკოლებში რეკომენდებული ვადის გასვლის შემდგომაც გაგრძელდა დისტანციური სწავლება პედაგოგებში დამატებით გამოვლენილი დადებითი შემთხვევების გათვალისწინებით.

ხაშურში ხორციელდება ასევე პისიარ ტესტირებაც მხოლოდ შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ განსაკუთრებულ ჯგუფებზე, როგორიცაა პოლიცია, სამაშველო სამსახური, სამედიცინო პერსონალი, სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებები და ის შემთხვევები, რა დროსაც კოვიდ-19 ვირუსი არ გამოვლინდა სწრაფი ტესტით და სახეზეა ვირუსის კლასიკური ნიშნები.

- კვლავ რომ შევახსენოთ მოსახლეობას, როგორია რეკომენდაციები დადასტურებული კოვიდ შემთხვევებისას...

- რეკომენდაციები არის შემდეგი: ინფიცირებული პირები და მათი ოჯახის წევრები გადადიან 12 დღიან თვითიზოლაციაში, რაც, მეტ-ნაკლებად, კონტროლდება მუნიციპალიტეტის ეპიდემიოლოგებისა და გუბერნიის წარმომადგენლების მიერ. ყოველ დღე იგზავნება მონაცემები ეპიდსიტუაციის შესახებ. იზოლაციაში მყოფ პირებთან ხორციელდება სატელეფონო კონტაქტი და იზოლაციის დარღვევის შემთხვევა ეცნობება პოლიციას. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ, სამწუხაროდ, არის მოქალაქეთა მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაც რეკომენდაციების დაცვისას.

ყოველი დადასტურებული შემთხვევისას პაციენტთან მუშაობას აგრძელებს ეპიდემიოლოგი, იკვლევს ინფიცირებულის კონტაქტებს, ეძლევათ რეკომენდაციები თვითიზოლირებისათვის, მათ შესახებ მონაცემები აისახება შესაბამის პროგრამაში, პაციენტს უკავშირდება ონლაინ ექიმი მკურნალობის მართვისას და შესაბამისად, კლინიცისტები აგრძელებენ ვირუსის მართვას.

- ბატონო დავით, ჩვენ ძირითადად ვისაუბრეთ ეპიდვითარებაზე სკოლებში. როგორია ვირუსის გავრცელების მაჩვენებელი სხვა არეალებში?

- იყო რამდენიმე შემთხვევა საჯარო სამსახურებშიც, თუმცა არ დაფიქსირდა გავრცელება რადგან სწრაფად გატარდა რეკომენდებული ღონისძიებები მათთან დაკავშირებით და ჯაჭვი გაწყდა მათ შემთხვევაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორმა დავით ჩიქოვანმა, ანტივაქსერთა საპასუხოდ, ყურადღება გაამახვილა ვაქცინაციის როლზე კოვიდ ვირუსთან ბრძოლისას. იგი უმნიშვნელოვანესად მიიჩნევს ვაქცინაციას და მოსახლეობას იქვე შეახსენებს, რომ ვინაიდან ვაქცინაციის ტემპები შენელებულია, ერთადერთი ხსნა ვირუსისგან დაცვისას, ვაქცინირებასთან ერთად, არის პირბადის ტარება და დისტანციის დაცვა. მოუწოდებს მოსახლეობას გამოიჩინონ მაღალი სამოქალაქო პასუხისგებლობა და დაიცვან რეგულაციები და რეკომენდაციები. ურჩევს რისკჯგუფებს დროულად ჩაიტარონ ვაქცინაცია, ვინაიდან ვაქცინაციის გარეშე ვირუსის გავრცელების შეჩერება შეუძლებელია.

დავით ჩიქოვანის ინფორმაციით, უნდა აღინიშნოს, რომ ხაშურში მოსახლეობის ვაქცინაციის პროცესი შედარებით გააქტიურდა. და ისევ თუ სტატისტიკას მოვიშველიებთ, ხაშურში ვაქცინირებულია 87 პირი, ვაქცინაცია ხორციელდება ასტრაზენეკას ვაქცინით. ვაქცინირების შემდგომი სერიოზული სახის გრთულება არ დაფიქსირებულა არცერთ შემთხვევაში.

თეა ახალკაცი

ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი - ხაშურში

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ამერიკულ კუთხეს აშშ-ს საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილების თანაშემწე პრესისა და ინფორმაციის საკითხებში ალთია ქოლი მერფრი სტუმრობდა.

ამერიკელი დიპლომატი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ ზვიად ქურდაძეს და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილს შეხვდა და ოკუპაციის მუზეუმიც დაათვალიერა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მაკა დიდებულიძე და ამერიკული კუთხის კოორდინატორი ქეთევან მეტრეველი. მხარეებმა ხაშურის ბიბლიოთეკის ამერიკული კუთხის განვითარების პერსპექტივებზე იმსჯელეს.

-ახალგაზრდა მეწარმეები -

»ჯეოხემსი» - ახალი ბრენდი ნელ-ნელა იპყრობს ბაზარს

ხაშურის მაღაზიათა ქსელებში და კაფეებში ქართული წარმოების ჩირი „ჯეოხემსი" მეორე თვეა თავის განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. წარმოება ადგილობრივია. სოფია გოგინაშვილი "ჯეოხემსის" დამფუძნებელია, სამი შვილის დედა და მიკრო მეწარმეა. გადაწყვიტა, თავისი საქმე ჰქონოდა, ეპიდ. სიატუაციის და სხვა რისკების მიუხედავად, წარმოება მაინც დაიწო და დღეს თვლის, რომ ის საქმეა, რომლის კეთებაც დიდ სიამოვნებას ანიჭებს:

–უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ბანკში დავიწყე მუშაობა, 10

წლიანი საბანკო გამოცდილება მაქვს. სამი შვილის დედაც ვარ და დეკრეტული შვებულების პერიოდში, გადავწყვიტე, კიდევ დამატებით სხვა რამეც მეცადა და ბიზნესში მომესინჯა ძალები. ამ კუთხით, გამოცდილება მანამდე არ მქონია. რაღაც საქმე მინდოდა, სადაც ჩემ თავს გამოვცდიდი, განვვითარდებოდი, ახალს ვისწავლიდი და სიახლეც იქნებოდა ხაშურისთვის. თავიდანვე, მოგებაზე გათვლილი ბიზნესი არ მქონდა, არც ამბიცია, რომ ჩემს წარმოებულ პროდუქციას მაშინვე ევროპაში გავიტანდი, მინდოდა, ძალები ხაშურში მომესინჯა. დავიწყე აქტიური ფიქრი, რა გამეკეთებინა. ძალიან ბევრი იდეა არც მქონია, რადგან თავიდანვე ჩემი სურვილი იყო, რამე სასარგებლო ყოფილიყო ეს, რომ ხალხისთვისაც სარგებელი მოეტანა და იქნებოდა ჯანსაღიც. ამ ეპიდ. პირობებში, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ამიტომაც გავაკეთე არჩევანი ჩირის წარმოებაზე, თან ხაშურში აქამდე ჩირის წარმოება არ ხდებოდა და ბაზარზე დიდი არჩევანი და შემოთავაზება არცაა.

- ბაზარს რამდენად იცნობდი?დამეთანხმები, ჩირი არაა პირველადი მოხმარების პროდუქტი, რაც შესაბამისად, რისკებს ზრდის.

– ბაზრის მცირე კვლევა ჩავატარე, ძირითადად, სეგმენტურად გავთვალე. არსებობს მაღაზიათა ქსელები, თუნდაც ტურისტული ობიექტები, სადაც მოთხოვნა, შესაბამისად, დიდია. საუბარი მაქვს უკვე ბორჯომზე და ბაკურიანზე, სადაც პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია.

- იდეის გაჩენიდან, წარმოებამდე, რამდენ ხანში მიხვედი?

–დაახლოებით 2021 წლის იანვრის თვე იყო, როცა გადაწყვეტილება მივიღე, რომ ნამდვილად მინდა ამის კეთება და მზად ვარ. თებერვალში უკვე ვიყიდე მცირე ზომის საშრობი აპარატი და ვაშლი დავჩირე. მივიღე ძალიან არომატული, კარგი ფერის და სტრუქტურის პროდუქტი, რომლის საოჯახო დეგუსტაცია მოვახდინეთ და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ამის შემდეგ, უკვე დავიწყეთ წარმოებაზე ფიქრი და სხვა ხილის მოსინჯვაც. ამან ძალიან დიდი იმედები გამიჩინა და მოტივაცია მომცა.

- ძალიან კარგი შეფუთვა გაქვს, დახვეწილი, ერთი თვალის შევლებითაც გამოარჩევს მომხმარებელი "ჯეოხემსის" პროდუქციას თავისი დიზაინით და პროდუქციის ასორტიმენტით.

–თითოეულ დეტალზე ძალიან ბევრი ვიფიქრე, თავიდან სეზონური ხილით დავიწყე, ვაშლი, მსხალი, ფორთოხალი, კივი, ბანანი დავჩირე, რომ ასორტიმენტი ყოფილიყო მრავალფეროვანი. მერე შეფუთვაზე დავიწყე ფიქრი, გადავწყვიტე, სასაჩუქრე ფორმაც მიმეცა, რამდენიმე კომბინირებული ჩირით დაკომპლექტებული, ყველა გემოვნების გათვალისწინებით. გასაცნობად, გასასინჯად, ეს ყველაზე მეტად მისაღები ფორმა იყო. ვეცადე, შეფუთვა დახვეწილი, გამართული ვიზუალის ყოფილიყო, რომლის ფერიც კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და საბოლოოდ, ვფიქრობ, ძალიან კარგი გამოვიდა. დავიწყე სასაჩუქრე შეფუთვებით, ოთხი სახეობის ხილი ჩავდე, 50-50 გრ-წონით. ჩირთან ერთად, გამიჩნდა იდეა, რამე სხვა, უფრო მეტი სიტკბოს შემცველიც ჩამედო და ფირფიტა შოკოლადი და მცირე ზომის ჩურჩხელები ჩავამატე.

- როგორც ვიცი, პირველი პროდუქცია ხაშურის მაღაზიებში და კაფეებში გაიტანე. როგორ მიიღო მომხმარებელმა და როგორი მოლოდინები გქონდა?

–პირველად, რა თქმა უნდა, ხაშურის მაღაზიებს შევთავაზე. შეთავაზების და გაყიდვების 10 წლიანი გამოცდილება მაქვს და პროფესიულად, დიდი პრობლემა არ მქონია, თუმცა, ეს სიახლე იყო და კვების პროდუქტთან მუშაობა, მეტ სიფრთხილეს და პასუხისმგებლობას მოითხოვს. ჯერ მხოლოდ ორი თვეა, რაც დავიწყე, აქედან, ერთ თვეში, უკვე დახლზე იდო ჩემი პროდუქცია, რაც არ იყო მარტივი ამ მცირე დროში. ის, ფაქტი, რომ უკვე რეკომენდაციებს მაძლევენ, მოწონთ, უკვე ნიშნავს, რომ ჩემმა წამოწყებამ, ამ ეტაპზე, ნამდვილად გაამართლა

- ადამიანებს, სულ აქვთ იმისი განცდა, რომ ბიზნესის დასაწყებად, ძალიან დიდი ინვესტიციაა საჭირო, რაც მათ ხელს უშლით საკუთარი იდეების განხორციელებაში. შენ შემთხვევაში როგორ იყო?

–თავდაპირველი ინვესტიცია 300 ლარი იყო. მცირე ზომის საშრობი შევიძინე, ამაში შედიოდა 50 ლარის ხილი. არ მინდოდა, თავიდანვე დიდი რაოდენობით დამეწყო, რადგან ახლაც კი შესწავლის ეტაპზე ვარ. ჩემ შემთხვევაში, არც დიდი ინვესტიცია ჩამიდია, არც შიშის მომენტი მქონია, რადგან, სწორად ვიფიქრე და გავთვალე ყველა რისკი, ყველა დეტალი.

- ფასები როგორ განსაზღვრე, რადენად მიახლოებულია საქართველოში უკვე არსებულ სხვა მწარმოებლების ფასებთან?

–ყველაფერს თავისი ფასი აქვს, ბუნებრივია. ვეცადე, ადგილობრივი ბაზარი გამეთვალისწინებინა და ფასების რეგულირება შესაბამისად განმესაზღვრა. არ მინდოდა, ავცდენილიყავი ბაზარს და ფასთა სხვაობა მქონოდა. ღირებულება ხილის ღირებულების შესაბამისად განისაზღვრება, ვაშლის პატარა შეფუთვა 2 ლარი ღირს, მსხალი –2.50 ლარი. ვეცადე, საბაზრო ფასებზე დაბალი ღირებულება ჰქონოდა ჩემს პროდუქციას, რომ უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო. საქართველოში არსებული ჩირის საწარმოები ძირითადად, ევროპის ბაზრისთვის ქმნიან წარმოებას და მათი ფასებიც შედარებით მაღალი და ინდივიდუალურია, სწორედ ამის და თვითღირებულების გათვალისწინებით მოვახდინე ფასების რეგულირება.

- როგორც საუბარში აღნიშნე, მხოლოდ ხაშურის ბაზრით არ შემოიფარგლები

–ბორჯომში უკვე გავიტანე და ძალიან კარგად მიიღეს და მივხვდი, რომ ამ საქმის დაწყება იყო დროული. ველოდებით ტურისტულ სეზონს, რომ მოთხოვნამ იმატოს. მივიღე რჩევები, რა, როგორ გავაკეთო სამომავლოდ, რა უფრო კარგად იმუშავებს მომხმარებელზე. ბაკურიანშიც ამ დღეებში გავიტანთ და ეტაპობრივად მოვიცავთ სხვა ქალაქებსაც.

- წარმოებაში რამდენი ხილი გაქვთ და რის დამატებას აპირებთ ასორტიმენტის მრავალფეროვნებისთვის?

–როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ეტაპზე, ვაშლი, მსხალი, კივი, ბანანი, ჩურჩხელა მაქვს, სამომავლოდ ისევ სეზონურ ხილს დავამატებ. მაქვს საკუთარი ბაღი, სადაც მაქვს სხვადასხვა ხილი, მათშორის კენკროვანები და მინდა, მოვსინჯო. საზამთროს, ნესვის, ლეღვის დამატებასაც ვაპირებ წარმოებაში. ამ ეტაპზე გაყიდვების გაზრდაზე ვმუშაობ, ხაშურში ჯერ დაგემოვნების ეტაპზე ვარ. მაღაზიებში და კაფეებში ვარ წარმოდგენილი. ყველაზე რეალიზებადი 150 გრამიანი შეფუთვებია. სასაჩუქრეების შემთხვევაში, ალბათ, სამომავლოდ, შეკვეთებზე ვიმუშავებ.

- როგორც ვიცი, "ჯეოხემსის" „დიასახლისი“ მხოლოდ შენ ხარ და ყველა მიმდინარე პროცესში მხოლოდ შენ ხარ ჩართული...

–ამ ეტაპზე, ბოლომდე ვარ ჩართული ყველა პროცესში, ოჯახი ძალიან მეხმარება და ხელს მიწყობს. რადგან მიკრო მეწარმე ვარ და არც დიდი ბრუნვა მაქვს, დამატებით მუშა-ხელს ვერ დავასაქმებ, თუმცა, პერსპექტივაში, როცა ჩემი წარმოება გაფართოვდება, მხოლოდ ჩემი ძალებით ამის კეთება, არ იქნება მარტივი. თუმცა, როგორც აღნიშნეთ, ხილის შერჩევიდან, მომხმარებლამდე მიტანამდე პროცესს მარტო ვუძღვები.

“როცა ჩართული მაქვს ჩემი აპარატი, გუგუნებს შრობის პროცესში და საოცარ სურნელს აყენებს, ეს შეგრძნება ჩემთვის საოცარია და ეს ცალკე სიამოვნებაა ჩემთვის”-ასე დაასრულა “ხაშურის მოამბესთან” საუბარი საოცრად მიზანდასახულმა სოფიამ. წარმატებეებს ვუსურვებთ “ჯეოხემსს”, დაე, სოფია იქცეს სტიმულად იმ ქალბატონებისთვის, ვისაც სიახლეს და თავისი საქმის დაწყება, წარმოუდგენლად მიაჩნია.

თ. ჯავახიშვილი

- ახალგაზრდები, რომლებზეც სოფლის ხვალინდელი დღე გადის -

ბექა მუღაძე - სოფლის გული, იმედი და მომავალი...

"...ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი - შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება - ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ - დონდლონი, დუნენი. აბა, იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია"... ილია ჭავჭავაძე

ახალგაზრდა, რომელსაც გაგაცნობთ, წაღვლის თემის სოფელ ჩორჩანაში დაიბადა, სულ რაღაც 22 წლისაა და საზღვრისპირა სოფელში ცხოვრების სიმძიმე საკუთარ თავზე გამოსცადა.

9 წლის ბექა მულაძემ უკვე იცოდა რა არის ომი და რას გრძნობ, როცა მტერი სოფელში გივარდება, ტერიტორიებს გართმევს, ადამიანებს გტაცებს. როცა დილით იღვიძებ მოლოდინით, რომ ოკუპანტმა აი, კიდევ 100 მეტრით გადმოწია საზღვარი, მოგტაცა საძოვრები, ტყე, საქონელი - საარსებო წყარო. როცა მკაცრი ზამთრის პირობებში გაუკვალავ გზაზე, ხანდახან მგლების შემოტევაც უნდა მოიგერიო, რომ მეზობელ სოფელში სკოლამდე მიაღწიო, სადამდეც 2 კილომეტრი გაშორებს, შემდეგ კი, უკან, იგივე გზა გამოიარო და გათოშილი ხელებით დედას ტყიდან შეშა მიუტანო. და ამას უნდა გაუძლო. და ეს გაძლება ხანდახან გაუსაძლისი ხდება. მაგრამ სადაც რწმენაა, სადაც სიყვარულია, იქ ძლიერდები და მებრძოლი სულიც გიყალიბდება, რომელიც არ ნებდება.

ადრეულად დაკაცებული ძმები დედ-მამას მხარში ამოუდგნენ. შეშის დამზადება, საქონლის მოვლა, სოფლის მეურნეობა ხან ამართლებდა, ხან არა. არ დანებდნენ, შეიძინეს: ტრაქტორი, მიკროავტობუსი, მცირე ტექნიკა.

პატარაობიდანვე დაისახა მიზნად, ძლიერი ყოფილიყო, რომ არავის დაეჩაგრა. ჭიდაობდა და წარმატებებსაც აღწევდა. ძალოსანიც

იყო, 120 კგ შტანგა აქვს აწეული, მაშინ 18 წლისა იყო. ნადირობა, თევზაობა და მეგობრებთან ქეიფი და გართობაც მისი მოგონილია. „ფორდი“ ჰყავს მიკროავტობუსი, გაავსებდა ბავშვებით და ხან სად წაიყვანდა, ხან სად. - იხსენებს დედა ლელა კაპანაძე.

ამის გარდა, ეკლესიურ ცხოვრებას მიჰყვება და სტიქაროსანია, ერთ აღდგომას წმინდა ცეცხლის ჩამოტანის პატივიც ერგო.

როცა განათლების მიღების დრო დადგა, მიიღო გადაწყვეტილება და გლდანის პროფესიული სასწავლებელი ექსკავატორის ოპერატორის სპეციალობით დაამთავრა, ყოჩაღსა და მიზანდასახულს სამუშაოს მოძებნაც არ გაჭირვებია. შემდეგ კი მოხდა კურიოზული ფაქტი, რომელიც ფილმებში თუ გვინახავს. როდესაც ტანმორჩილი, გამოუცდელი ბიჭი ჩინურ კომპანია „ჰუალინგში“ გასაუბრებაზე დაიბარეს, დამსაქმებლებს ეჭვი შეეპარათ მის შესაძლებლობებში და უარით ისტუმრებდნენ. მაგრამ ბექა რის ბექაა, მარდად აძვრა ექსკავატორზე, დაქოქა და ერთ-ერთი დამსაქმებლის ჯიპის მანქანის კარი ექსკავატორის „კოვზით“ გამოაღო. სახტად დარჩენილი ჩინელები უყოყმანოდ დათანხმდნენ მის აყვანას.

ცარიელი გულია. მუშაობს და სოფელსაც ადგება. გზაა თოვლისგან გასაკვალი და აბა ბექას დავუძახოთო, ვიღაცას მანაქანა ჩაუვარდა გზიდან და ბექაც იქაა თავისი ტრაქტორით და მოწყობილობებით, მოკლედ, სოფლის გული და სულიაო, ამბობენ სოფლელები. თანატოლებიც მხარში უდგანან და მაგალითს იღებენ. საიმედო დასაყრდენი ჰყავს ჩორჩანას. ეს საგუშაგოზე გამაგრებულმა მტერმაც იცის,აკი შემოუთვლიათ ზაზა გახელაძეში გაგვიცვალეთ ჩორჩანის საგუშაგოო.

ჰაერზე არ უთქვამთ ეს ოკუპანტებს. იციან, რომ ჩორჩანაში მაგარი მგლისმუხლა ბიჭები არიან. აი, ისეტები, ზემოთ რომ დიდი ილიას სიტყვებში განათდნენ: გვირისტით შეკერილნი, ჩაკირულნი, უფლის ხელდასმით შექმნილნი და სოფლის და სამშობლოს უზომოდ მოყვარულნი.

ირინა გოგიტაური

სურამში მათიაშვილისა და თაყაიშვილის ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

პროექტები აღნიშნული ქუჩების მოასფალტებას ითვალისწინებს.

სამუშაოების მიმდინარეობა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ და მერის მოადგილემ ზურაბ როსებაშვილმა დაათვალიერეს.

როგორც მათიაშვილის,ისე თაყაიშვილის ქუჩა სურამის მჭიდროდ დასახლებულ უბნებს წარმოადგენს. შესაბამისად, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შედეგად 400-ზე მეტი ადგილობრივი და დამსვენებელი ისარგებლებს კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით.

მათიაშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების ღირებულება 234900 ლარია. პროექტს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „სიახლე+“ აწარმოებს.

თაყაიშვილის ქუჩის რეაბილიტაციის პროექტის ღირებულება 187 649 ლარს უტოლდება. სამუშაოები ასევე ტენდერის შედეგად გამოვლენილი შპს „ბილტმორის“ მიერ ხორციელდება.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება ზაფხულისთვის იგეგმება.

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ.#1,2,3,4,5,6,7,8,9,10)

სარიტუალო სასმისების სხვადასხვა ფორმა-შინაარსიდან გამომდინარე, გორათის ქანდაკება-სასმისი შეიძლება სხვა საინტერესო კუთხითაც განვიხილოთ. მაგალითად თუ მას შევხედავთ, როგორც ცილინდრილი ფორმის ჭურჭელს, გადმოცემულს ქალის ტანის ფორმით და მეორე – ბიკონუსურ ჭურჭელს, როგორც ზურგზე დაძერწილს, მაშინ მივდივართ განსაკუთრებული ფორმის სასმისებთან, რომლებიც ამიერკავკასიის და წინა აზიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშია დაფიქსირებული. ამ განსაკუთრებული თუ განსხვავებული თიხის ჭურჭლების ჯგუფს მიეკუთვნება: ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებიანი ჯამები, ე.წ. „KERNOS“-ის ტიპის სასმისები, სხვადასხვა ფორმის სასმისი „ჩექმები“, ზოომორფული სასმისები და სხვა. ყველა ჩამოთვლილი ფორმა განსაკუთრებულია, მათი აღმოჩენაც იშვიათია და ერთეულებით განისაზღვრება. ჩამოთვლილთაგან ჩვენთვის საინტერესოა „KERNOS“-ის ტიპის სასმისები, რომელთაც ძირითად კორპუსზე, დაძერწილი აქვთ დამატებითი, სხვადასხვა ფორმის რამდენიმე პატარა ჭურჭელი, ცხოველის, ფრინველის ან ადამიანის გამოსახულებით. „KERNOS“-ის ტიპის ერთ-ერთ ირანულ სასმისს, რომელიც ხასანლუს სამარხშია აღმოჩენილი, ძირითად კორპუსზე, ფრინველისა და ცხოველის გარდა, დაძერწილი აქვს ადამიანის ზედა ტანის ნაწილი – თავი და ხელები. სითხის ჩასასხმელი კი, გორათის ქანდაკების მსგავსად ადამიანს კისერთან, ზურგზე აქვს დატანილი. რა თქმა უნდა, ფორმით გორათის და ხასანლუს სასმისი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მსგავსება მხოლოდ სითხის ჩასასხმელის ადგილსა და მის გაფორმებაშია. (სხვა უფრო ახლო მდგომი პარალელის უქონლობის გამო მოვიტანეთ ადამიანის ზედა ტანისა და ჩასასხმელის მსგავსების ეს მაგალითი).

აშკარაა, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელია. არ არის გამორიცხული, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი ნაყოფიერების ღვთაებას წარმოადგენდეს. ქალის თიხის ქანდაკებები ხომ დამახასიათებელი არტეფაქტია ნამოსახლარებისათვის და ნაყოფიერების სიმბოლოდაა მიჩნეული. ცნობილია ასევე ქალის ტანის სიცოცხლის ხის, ხოლო მკერდის – ხორბლის სიმბოლოდ გამოსახვა. აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით, გორათის თიხის ქანდაკება გამოყენებული ჩანს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში.

მაგრამ, როგორც ჩანს, მარტო ამით არ ამოიწურება გორათის სასმისის რიტუალური დატვირთვა. იგი, პირველ რიგში, სასმისია და უდავოდ განკუთვნილია წმინდა სითხის (ღვინის?) სასმელად. მრავალი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მაგალითი მიუთითებს, რომ ძველი სარიტუალო ცერემონიები თუ ნადირობის პროცესი მიმდინარეობდა სარუტუალო, წმინდა სითხის სმის ფონზე. საკმარისია გავიხსენოთ თრიალეთის თასი, ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახული სცენები, ასევე მელი-ღელეს სამლოცველოში აღმოჩენილი ასეული ცალობით თიხის სასმისი. სავარაუდოდ, სარიტუალო წმინდა სითხე ყურძნის წვენი (ღვინო) უნდა ყოფილიყო, რაც, თავისთავად, ვენახთან, „სიცოცხლის ხესთან“ და ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული. გორათის ქანდაკება-სასმისის ქალის ფორმით გამოსახვა და ამით მისი სარიტუალო წმინდა სითხესთან დაკავშირება გამოწვეული უნდა იყოს, სწორედ ქალის, როგორც ნაყოფიერების ღვთაების კულტის იდეის გაძლიერებასთან.

გორათის თიხის ქანდაკება სამაროვნის იმ მონაკვეთშია აღმოჩენილი, სადაც ხშირად ჩნდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალები. თიხის ქანდაკების კეცის სტრუქტურა და დამზადების ტექნოლოგიაც იმაზე მიუთითებს, რომ ქანდაკება-სასმისი ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარში უნდა იყოს დამზადებული.

ქალის თიხის ქანდაკება-სასმისის აღმოჩენა უფრო მეტად აძლიერებს ინტერესს სამაროვნისადმი. წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ერთი ნაწილი დასავლური – კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების მატარებელია (ცული, ყუნწიანი სატევარი, ბალთა, ბრინჯაოს გარსაკრავი), რაც, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მჭიდრო და ინტენსიურ კავშირებს, რომელიც არსებობდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებს შორის.

უკანასკნელ პერიოდში, გორათში აღმოჩენილ ნივთებს დაემატა კიდევ 6 ნივთი. ესენია: სამი ბრინჯაოს სატევარი, ერთი ალისებურპირიანი ბრინჯაოს შუბისპირი, ბრინჯაოს საკინძი და რკინის შუბისპირი.

გორათის იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია თარიღდება გვიანდელი ფეოდალური ხანით (XVI-XVIIსს).

XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ეკლესია დანგრეულია, 1881 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ გორათზე „ძველი ეკლესიის ნანგრევია, მხოლოდ ცარიელი კედლებიღაა დარჩენილი და უპატრონოდ არის მიტოვებული“. ვიქტორ ვეფხვაძის ცნობით „ეკლესია 1908 -1910 წლ-ში მთლიანად იქნა გათლილი, რადგან ხავსი ჰქონდა მოკიდებული ირგვლივ...“.

გორათის ეკლესიის შესახებ არსებობს ლეგენდა, რომელიც მის აშენებას თამარ მეფეს მიაწერს.

თურმე, თამარ მეფეს სურამის ხეობაში დიდი ომი ჰქონია თათრებთან. თამარს თავისი ჯარით თათრები დაუმარცხებია და საქართველოს საზღვრებიდან უკუუგდია. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, თამარი დამდგარა ერთ ამაღლებულ ადგილზე და გულითადი მადლობა გადაუხდია ქართველი მეომრებისთვის, რომლებსაც დიდი გმირობა გამოუჩენიათ. თამარს მათთვის საჩუქრები მიუცია. ამ ბრძოლის დროს დიდი ტალახი ყოფილა.

მადლიერი მეომრები ტალახიანი ფეხებით მიდიოდნენ მეფესთან და მადლობას ეუბნებოდნენ. თამარის გარშემო იმდენი ტალახი მოგროვილა, რომ კარგად მოზრდილი გორაკი წარმოქმნილა. ამის ნიშნად და ომში გამარჯვების მოსაგონებლად საქართველოს მეფეს აქ აუშენებია ეკლესია.

ეკლესია დარბაზულია /10,8 X 7,7/ ნაგებია ქვიშა ქვითა და რიყის ქვით. სამხრეთით და დასავლეთით თითო შიგნიდან შეისრულთაღიანი, გარედან არქიტრავული შესასვლელია. სწორკუთხა საკურთხეველი არ არის გამოყოფილი დარბაზისაგან. აღმოსავლეთ კედლის ღერძზე და მის მარცხნივ შიგნიდან შეისრულთაღიანი, გარედან ოთხკუთხა ორი სარკმელია. თითო მსგავსი სარკმელია დანარჩენ სამ კედელში. აღმოსავლეთ კედლის ქვედა ნაწილში შეისრულთაღიანი ნიშია. ეკლესიის დარბაზის გრძივ კედლებზე პილასტრებია, რომლებსაც ეყრდნობა კამარის საბჯენი თაღები. პილასტრებს თლილი ქვის კაპიტელები აქვს. დასავლეთის ფასადზე, შესასვლელის ღერძზე, ერთ ვერტიკალზე მონაცვლეობენ ერთნაირი ფორმის და ზომის ორი ჯვარი და ორი წრე. ზედა ჯვარი და წრეები რელიეფურია, ხოლო ქვედა ჯვარი ამოკვეთილია არქიტრავის ქვაზე და კედლის სიბრტყეს არ სცილდება. ფასადის ფრონტონი წვერთან წაკვეთილია. აქ, სახურავზე, სამრეკლოს ფუძის ქვებია შემორჩენილი. ეკლესიას ორი ლილვისა და მათ შორის შეზნექილი მრუდისაგან შედგენილი ქვის ლავგარდანი აქვს.

ეკლესია ორსაფეხურიან სოკოლზე დგას.

უკანასკნელ პეროიდში (XX საუკუნის 90-იანი წლები). მას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები და დღეს იგი მოქმედია.

21 მაისს (ძვ. სტილით 8 მაისს) აქ იმართებოდა დღეობა, - ნათლისმცემლობა, - რომელიც „გორათობის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ დროს, გორათის ველზე დიდძალი ხალხი იყრიდა თავს არამარტო ახლომახლო სოფლებიდან, არამედ იმერეთიდანაც. დღეობა ყოველთვის ჭიდაობით მთავრდებოდა.

გორათი XX ს-ის 20-იანი წლებიდან ცნობილია, როგორც ძმათა სასაფლაო.

თავდაპირველად აქ 1919 წლის იანვარში დაიკრძალნენ სომხეთ-საქართველოს 1918 წლის ომში დაღუპული სახალხო გვარდიელები ხაშურის რაიონიდან: ლ. მეტრეველი, ლ. ჩაფრაძე, ა. ჩუბინიძე, კ. ჯანიაშვილი, ა. სირაძე, ნ. აბაიაძე. შემდგომში, 1921 წლის აპრილში აქვე დაკრძალეს რაიონში საბჭითა ხელისუფლებისათვის მებრძოლი რევოლუციონერები: ი. აბაიაძე, გრ. ბერძენიშვილი, ვ. ჩადუნელი, ვ. კორკოტაძე, ვ. ჩაფრაძე და სხვები. მათ საპატივსაცემოდ, 1922 წელს, ეკლესიის დასავლეთით მოზრდილი **ქვის ობელისკი** იქნა აგებული.

შემდგომში, გორათზე დაიკრძალენ სახალხო მასწავლებელი პეტრე კაპანაძე, მუშა-პოეტი სტეფანე ნოზაძე /ფონ-ტეფო/ და სხვა. მოგვიანებით იგი ჩვეულებრივ სასაფლაოდ გადაიქცა. ამ მოვლენამ დააზიანა გორა – ნამოსახლარი.

აქ, 1919 წლის 25 მაისს, ჩატარდა კრება, რომელზეც შეიქმნა ხაშურის ახალგაზრდული ორგანიზაცია „სპარტაკი“ – კომკავშირული ორგანიზაციის წინამორბედი.

1919 წლიდან 1924 წლამდე გორათზე აღინიშნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე – 26 მაისი.

ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. მდებარეობს ხაშურის სამხრეთით, ჭალის უბანში, ცენტრალური საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს. ეკლესია სტილისტური ნიშნებით XIX საუკუნით თარიღდება. ეკლესიის დავთრის 1827 წლის ჩანაწერის მიხედვით იგი „....აღშენებულ არს ჩყც (1808) წელსა მეცადინეობით მრევლთათა“. ნაგებია ხით. ხისაა აგრეთვე სამრეკლო.

1835 წლის ჩანაწერი იმეორებს 1827 წლის ცნობას.იქვე აღნიშნულია, რომ ეკლესია „სიძველედ მიწევნილია“ და „ითხოვს განახლებასა“.

1844 წლის ჩანაწერში ნათქვამია: „ჭალის ეკლესია აშენებულია ჩყც (1808) წელსა მეცადინეობითა მრევლთათა და სიძველედ მიწევნილი მათ მიერვე განახლებულ არს ჩყლზ–სა (1837) წელსა. არს საკმაოდ მაგარი, გარნა ესაჭიროების მას სახურავი. შენობით არის ხისა, ხისავე სამრეკლოითურთ, სიონურად მოყვანილი“.

ამრიგად, ჭალის ეკლესია აგებულია 1808 წელს, განახლებულია 1837 წელს და არის ხის.

XIX საუკუნის 60-იანი წლების II ნახევრიდან, ეკლესიის მღვდლის მათე სუხიევის (სუხიშვილი) მეცადინეობით დაიწყო და 1872 წელს დამთავრდა ზემო ჭალის წმინდა ნიკოლოზის დღევანდელი ეკლესიის მშენებლობა.

იგი დარბაზული ტიპის ნაგებობაა /16,9 X 8,6/. ნაგებია აგურით და რიყის ქვით. შესასვლელი სამხრეთით და დასავლეთითაა. ღრმა ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე მაღალი თაღოვანი სარკმელია. ორი სარკმელი სამხრეთის კედელშია, სამი ჩრდილოეთისაში, ერთი დასავლეთ კედელში. დარბაზის გრძივ კედლებზე სამი წყვილი მარტივი პილასტრია, რომლებზეც ეყრდნობა ნახევარწრიული კამარის საბჯენი თაღები. საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია პილასტრების აღმოსავლეთის წყვილით და საბჯენი თაღით.

აღმოსავლეთ ფასადის ფრონტონზე გამოსახულია შეღრმავებული ჯვარი. ნაგებობას თაროთი და დახრილი სიბრტყით შედგენილი ლავგარდანი და თუნუქის ორფერდა სახურავი აქვს.

რესტავრაციისას აღადგინეს სამრეკლო. იგი ორსართულიანია. ორივე სართული სამ მხარეს გახსნილია ნახევარწრიული თაღებით, რომლებიც ეკლესიის დასავლეთ კედლის ორ პილასტრსა და ორ თავისუფლად მდგომ ბოძს ეყრდნობა. მისი პირველი სართული კარიბჭეა, მეორე სართული ფანჩატურია, სადაც მოხვედრა შეიძლება დასავლეთის კედელში დატანებული კარებით. მას პირამიდული სახურავი აქვს. ეკლესია როგორც გარედან, ასევე შიგნიდან შელესილია.

ზემო ჭალის ეკლესია რამდენიმე გარემოებით იპყრობს ჩვენს ყურადღებას. კერძოდ, აქ ინახებოდა ვახტანგ VI-ის ასულის ანუკა ბატონიშვილის მზითვის ნაწილი, მათ შორის იყო პარხლის ცნობილი ხელნაწერი აგრეთვე სხვადასხვა ხელნაწერები, კერძოდ, დასურათებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ქრონოგრაფია არჩილ მეორისა, ჟამნი, ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი ტიბიკონი და სხვა. ხელნაწერთა ნაწილი მღვდელმა მ. სუხიევმა 1888 წელს გადაცა ქშწკგს-ის გამგეობას. აქვე იყო დაცული ოქრომჭედლობის საყურადღებო ნიმუში – ვერცხლის კარედი-ხატი.

ე. თაყაიშვილი, 1889 წლის ზაფხულში, თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად იმყოფებოდა სურამში. იგი ეცნობოდა ახლომახლო სოფლებს, ეკლესიებს, აქ დაცულ სიძველეებს აგროვებდა და სწავლობდა ძველ სიგელ გუჯრებს, ჰკრებდა ცნობებს ძველი ხელნაწერი წიგნების შესახებ. ასე მოინახულა მან იტრია, ზემო ჭალა და სხვა სოფლები, რაზეც ვრცლად მოგვითხრობს თავის წიგნში „სამი ისტორიული ქრონიკა“, რომელიც 1891 წელს გამოვიდა და მოგონებებში.

„სამი ვერსის სიშორეზე სურამიდან და ერთი ვერსის ხაშურიდან, – წერს ე. თაყაიშვილი, – სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ, მდებარეობს სოფელი ზემო ჭალა. ჭალის პატარა ეკლესია სულ ახალია და არხეოლოგიისათვის თავისთავად არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენს, მაგრამ აქ განსაკუთრებულ „ვიტრინაში“ აქამომდე დაცულია ზოგიერთი იმ საეკლესიო ნივთთაგანი, რომელნიც მზითვში ჰრგებია ვახუშტი აბაშიძის ცოლს, ანუკა ბატონიშვილს, მეფის ვახტანგ VI-ის ასულს. ჭალის ეკლესია ავაზაკებს გაუძარცავთ და უმეტესი ნაწილი ამ ნივთებისა მაშინ დაკარგულა.“

1889 წლის 18 აგვისტოს, გაზეთი „ივერია“ თავის მკითხველებს აუწყებდა, რომ „...ბ-ნ ე. თაყაიშვილს უნახავს სოფ. ზემო – ჭალის ეკლესიის მღვდლის მათე სუხიაშვილის სახლში რამდენიმე ხელთნაწერი წიგნი, რომელთაგანაც ერთი მეტად საყურადღებო და შესანიშნავია. ეს ხელთ ნაწერი სახარებაა მე – IX საუკუნესი, ივანე ბერაისაგან გადაწერილი. დაწერილია ხუცურად ტყავზედ და ძალიან გარკვეულადაც არის დაწერილი. ჩართული აქვს ბევრი რამ შესანიშნავი ისტორიული ცნობა. ამ ცნობებს ბ-ნი ე. თაყაიშვილი ამ მოკლე ხანში გამოაქვეყნებს. მეორე ხელთნაწერი წარმოადგენს ძველსა და ახალ აღთქმის ისტორიას, რომელშიაც არის ჩართული მრავალი შესანიშნავი სურათი“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ოლიმპიადაზე საქართველოს ჰიმნს ავაჟღერებ! - ექსკლუზივი ტატო გრიგალაშვილთან

ხაშურის მკვიდრს, ტატო გრიგალაშვილს, ახალგაზრდული ასაკიდანვე ჰქონდა წარმატებები, მაგრამ იგი ძიუდოს სამყაროში მაინც სწრაფად შემოიჭრა, მიყოლებით გაიმარჯვა რამდენიმე ტურნირზე და ჩვენი ერთ-ერთი მთავარი იმედიცაა მოახლოებულ ოლიმპიადაზე.

ცოტა ხნის წინ ჩატარებულ თბილისის გრან-პრიზე 21 წლის სპორტსმენი, მოულოდნელად, სუსტად გამოიყურებოდა. მალევე მას კორონავირუსი დაუდასტურდა. როგორც ჩანს, წარუმატებლობა ამანაც განაპირობა. ტატოს ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება უწევს, თუმცა ჩვეული ფორმა მალევე უნდა დაიბრუნოს...

- ადრეული ასაკიდანვე გვახსოვს თქვენი წარმატებების შესახებ, თუმცა, ფართო აუდიტორია მაინც 2020 წლიდან

უფრო გიცნობთ. რამ განაპირობა ამ მასშტაბის პროგრესი?

- 2017 წელს, თბილისის გრან-პრიზე, 73 კგ წონით კატეგორიაში გამოვდიოდი. მწვრთნელებმა აღმოაჩინეს ჩემში გარკვეული თვისებები, რომლებზედაც იმედს დაამყარებდნენ. 2018 წელს, უკვე დღევანდელ წონაში, -81 კგ-ში ავინაცვლე და ანტალიის გრან-პრიზე მედალიც მოვიპოვე. ამის შემდეგ, ჩემი მხრიდანაც იქნა შეცდომები დაშვებული, მიუხედავად იმისა, რომ მქონდა გარკვეული შედეგები, მთავარი წარმატებები მაინც 2020 წელს დიუსელდორფის მაღალი დონის გრანდ-სლემის მოგებით დაიწყო. ყოველთვის ვცდილობ, ვიმუშაო საკუთარ თავზე და გავიზარდო როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად.

- ძირითადად, რაზე გიწევს მუშაობა მწვრთნელებთან ერთად, რა ასპექტებში ხართ, კმაყოფილი და სადაა საჭირო შედარებით მეტი ყურადღების გამახვილება?

- ვცდილობ, თვითკმაყოფილებას არასდროს მივეცე. ნებისმიერი მომგებიანი გდებისა თუ გამარჯვების შემდეგ მაინც ვამბობ, რომ უკეთ შეიძლებოდა ყველაფერი. განვითარებასა და სრულყოფას მუდამ უნდა ესწრაფვოდე - ტექნიკური ელემენტების გამრავალფეროვნება, ფიზიკური გამძლეობა, ასევე, კონკრეტული საჭიდაო დეტალები - დგომა თუ პარტერში ჭიდაობა...

- გვინახავს მაღალი დონის, მათ შორის, ქართველი ძიუდოისტები, რომლებიც საასპარეზოდ მრავალფეროვნებით ნაკლებად გამოირჩევიან. ზოგიერთი თუ ქვეჭიდშია ძლიერი, ბევრისთვის ეს სუსტი წერტილია. თქვენზე დიდ იმედებს ამყარებს გულშემატკივარი, მათ გასამართლებლად კი ამაზე მუშაობაც მოგიწევთ. როგორ ახერხებთ ამ მრავალფეროვნებას?

- მეტოქეს ყოველთვის საპირისპირო უნდა შესთავაზო - უნდა იცოდე მისი პლუსები და შენი უპირატესობები მოახვიო, ასპარეზობა საკუთარ სტილზე გადაიყვანო. რა თქმა უნდა, ამაში მწვრთნელებიც გვეხმარებიან. არის მომენტები, როცა მეტოქეს ზემოდან ეჭიდავები, მაგრამ ხვდები, რომ ქვეჭიდშია გადასაყვანი, იქ მეტად გექნება წარმატების შანსი... იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად განვითარდება და შემდეგ ინტერვიუს, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონთან, ისე ჩაწერთ.

- ზოგადად, ძიუდოში ბევრი ტურნირია და მნიშვნელოვანია ხოლმე, თუ როდის აღწევს სპორტსმენი ფორმის პიკს. ახლა მთავარი სწორება ოლიმპიადაზეა. ზოგიერთ სპორტსმენს მეტი დასვენება სჭირდება, ზოგს კი პირიქით - ეს ფორმიდან აგდებს. თქვენ შემთხვევაში როგორაა?

- კორონავირუსის დაფიქსირებას თუკი რაიმე დადებითი შეიძლება ჰქონდეს, ისაა, რომ მცირე ხნით დაასვენო ორგანიზმი და მეორე - აღარ გექნება შიში, რომ იგი კიდევ უფრო მნიშვნელოვან დროს შეგეყრება და უფრო მნიშვნელოვანს გამოგატოვებინებს. რა თქმა უნდა, მთავარი საზომი ოლიმპიადაა, პიკშიც მაგ დროს უნდა ვიყო. ვფიქრობ, მსოფლიო ჩემპიონატისთვის ძალების ბოლომდე აღდგენას შევძლებ, ოლიმპიადაზე კი საქართველოს ჰიმნი უნდა ავაჟღერო!

- ზოგადად, რამდენად მნიშვნელოვანია სამწვრთნელო შტაბთან ერთად შესაძლო მეტოქეებისა და არბიტრების წინასწარ, დეტალური განხილვა და მიმართავთ თუ არა რჩევებისთვის ქართველ მსაჯს, ვლადიმერ ნუცუბიძეს?

- როცა მეტოქის ვინაობას ადგენ, შემდეგ მცირე დროა და წინასწარ ყველაფრის გათვლა შეუძლებელია. მთავარია, თავად იყო ბოლომდე მზად; იცოდე, როგორ წარმართო შეხვედრა, მისი თითოეული წამი. ძიუდოში მთავარია, ისე იყო მომზადებული, მსაჯის გადაწყვეტილებები ხელს ვერ უშლიდეს შენს გამარჯვებას. რაც შეეხება ბატონ ვლადიმერს, საკმაოდ ხშირად იცვლება წესები, არის სიახლეები და ამაზე, რა თქმა უნდა, ვესაუბრებით.

- რას იტყოდით თქვენს საჭიდაო წონასა და ძირითად კონკურენტებზე?

- ძიუდოს გეოგრაფია უკვე სერიოზულად გაიზარდა და კონკურენციამ იმატა. ჩემს წონაში ყოველთვის გამორჩეული იყო ბელგიური სკოლა; რუსებს მაღალი დონის სპორტსმენები ჰყავთ და იაპონელები ყველგან ცდილობენ, ფავორიტები იყვნენ!

- არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ძიუდოში დაძაბულობა გვახსოვს. ახლა რა ვითარებაა გუნდში, როგორ ხდება კონკურენციის მიღება? რაც შეეხება -81კგ-ს, საინტერესოა, რომ ოლიმპიადა დროულად რომ ჩატარებულიყო, იქ ლუკა მაისურაძე გაემგზავრებოდა...

- ახლა შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ დამშვიდებული სიტუაციაა გუნდში, ერთმანეთთან ყველანი მეგობრულად ვართ. რაც შეეხება ლუკას, მე ყოველთვის იმ აზრზე ვიყავი, რომ ჯანსაღ კონკურენციაში ვინც უკეთ იქნება მზად, ის უნდა გაემგზავროს. ადრე სხვანაირად იყო, ახლა მეტი დრო და შანსი მაქვს. შესაბამისად, სამშობლო უნდა გავახარო! ამჟამად კი გუნდში ყველაზე დაძაბული კონკურენცია 90 კგ წონით კატეგორიაშია. ბექა ღვინიაშვილი და ლაშა ბექაური - ორივე მშვენიერ ფორმაში იმყოფება...

- საუბრობთ სიმშვიდეზე... კიდევ რა შეიცვალა გუნდში ლაშა გუჯეჯიანის მოსვლით, დანერგა თუ არა განსხვავებული მეთოდები?

- გუჯეჯიანის ვარჯიშები მრავალფეროვნებით გამოირჩევა და არც მომაბეზრებელია. სამწვრთნელო შტაბმა ძალიან კარგად იცის, თუ როგორ უნდა გადაანაწილონ სპორტსმენებმა ძალები და აღადგენინონ დაკარგული ენერგია. იმედი გვაქვს, ოლიამპიადაზე იმდენ ოქროს მოვიპოვებთ, რომ ლაშა გუჯეჯიანი ქართული ძიუდოს ისტორიაში ყველაზე შედეგიანი მწვრთნელი გახდება.

ღ. ანთაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები. ძვიშხეთი, მთაწმინდა.
ა. სუთიაშვილის ფოტო

- კალათბურთი -

მასტერკლასი, რომელიც შედეგს უცილობლად გამოიღებს

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, რეგიონულ ფედერაციასთან ერთად, ხაშურის სპორტულ კომპლექსში მასტერკლასები ჩაატარა.

პროექტი საკალათბურთო პროგრამის განვითარების ფარგლებში, „ვითამაშოთ კალათბურთი შიდა ქართლში“ ეგიდით ჩატარდა.

ღონისძიების მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, 2021 წლის 7 აპრილს, ტრაგიკულად დაღუპული ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ხსოვნას.

შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზვიად ქურდაძემ გახსნა. მან მადლობა გადაუხადა პროექტის ავტორებს და აღნიშნა, რომ მსგავსი ღონისძიებები რეგიონებში ხელს უწყობს სპორტის პოპულარიზაციას და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

ღონისძიებაზე, კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა გურასპაულმა აღნიშნა, რომ პროექტი ფიფას ახალგაზრდული ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება და მიზნად ისახავს რეგიონული ფედერაციების მეტად გაძლიერებას და კალათბურთის პოპულარიზაციას ახალგაზრდებში.

საკალათბურთო საქმეში შეტანილი დამსახურებისთვის, პრიზები გადაეცათ დამსახურებულ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს.

პროგრამის ფარგლებში, შიდა ქართლის 10 – დან 13 წლამდე ასაკის, ხაშურელ, გორელ და კასპელ კალათბურთელებს, მასტერკლასები ჩაუტარეს სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლებმა: მილოშ გრიგოლიევიჩმა და ანატოლი ბოისამ. შიდა ქართლის გუნდებს, ასევე, გადაეცათ სპორტული ფორმები, ინვენტარი, წიგნები და საინფორმაციო ბუკლეტები.

ღონისძიების ბოლოს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, სტუმრებთან ერთად, სპორტ-კომპლექსის ეზოში, ცაცხვის ნერგები დარგეს.

ხაშურის სპორტულ კომპლექსში გამართული შეხვედრის მხარდამჭერები იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის განათლების კულტურის, სპორტის სამსახური და სპორტ-სკოლის ადმინისტრაცია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.